

სტუდენტის პირადი ნომრის სტრუქტურა

სტუდენტის პირადი ნომერი, რომელიც უნივერსიტეტში 2003 წლიდან გამოიყენება, აადვილებს ყველა სახის აკადემიური პროცედურის ფორმალიზაციას, და არა მარტო. პირადი ნომერი შედგება ორი ლათინური ასოთი სიმბოლოსა და შვიდი ციფრისაგან. სტრუქტურა შემდეგ შინაარსს შეიცავს:

1. ლათინური ასოთი სიმბოლოები მიუთითებს ფაკულტეტს. მაგალითად, EB ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.
2. პირველი ბლოკის ორი ციფრი არის სტუდენტის ჩარიცხვის წლის ბოლო ორი ციფრი.
3. მეორე ბლოკის ციფრი სასწავლო ციკლის აღმნიშვნელია, მაგალითად: 1 - გულისხმობს პირველ საფეხურს ანუ ბაკალავრიატს და სპეციალისტის პროგრამას; 2 - მეორე საფეხურს ანუ მაგისტრატურას.
4. მესამე ბლოკის სამი ციფრი სტუდენტის ჩარიცხვისას მისი აღრიცხვის ნომერია.
5. ბოლო ციფრი საკონტროლოა.

მაგალითად:

ფაკულტეტის დასახელება	ჩარიცხვის წელი	სწავლის საფეხური	აღრიცხვის ნომერი	საკონტროლო ციფრი
EB	05	1	025	5

სტუდენტის პირადი ნომერი გამოიყენება:

- სტუდენტის პირადი საქმის წარმოებისას
- სტუდენტის სასწავლო ბარათის წარმოებისას
- საკურსო და საკვალიფიკაციო ნაშრომების გარე ყდის გაფორმების დროს
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდის დაცული გვერდის გამოყენების დროს
- სტუდენტის ბილეთის ნომერი ამავდროულად არის სტუდენტის პირადი ნომერი

სტუდენტის პირადი ნომერი არ იცვლება მისი უნივერსიტეტში სწავლის მანძილზე მიუხედავად ფაკულტეტის შეცვლის, გარიცხვის შემდეგ აღდგენის, სტუდენტობის დაკარგვის, სახელის ან გვარის შეცვლის თუ სხვა შემთხვევაში.